# კლაუზურა–კონკურსი ქაღალდის არქიტექტურა
# თემა: დროებითი სახლი სტიქიის შედეგადდაზარალებულებისთვის.

2017 წლის 28 ნოემბერს სტუ გალერეა „უნივერსში“ გაიმართა ყოველწლიურ კლაუზურა-კონკურსში შესრულებული ნამუშევრების გამოფენა დაგამარჯვებულთა დაჯილდოება. ქაღალდის არქიტექტურის რიგით 35-ე ტრადიციული კლაუზურა-კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას იღებენსტუ და თსსა არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტები ამ წელს, სტუდია „არქიტექტურის პოეტიკის“ დამაარსებლის, პროფესორ შოთაბოსტანაშვილის ხსოვნას მიეძღვნა: ძირითადი პრემიების გარდა დაწესებული იყო შოთა ბოსტანაშვილის სახელობის 2 სპეციალური პრემია.
შოთა ბოსტანაშვილი და მისი სტუდია „არქიტექტურის პოეტიკა“ საქართველოში ქაღალდის კონცეპტუალური არქიტექტურის პიონერი და შეიძლებაითქვას ერთად-ერთი წარმომადგენელია. ქაღალდის არქიტექტურას აინტერესებს თუ რა სახე შეიქმნება კულტუროლოგიურ პრობლემაზერეფლექსიისას. ამისთვის ქაღალდი იდეალური სივრცეა. შეიძლება პოეტიკის არსი სხარტად ამგვარად ჩამოყალიბდეს - ეს გახლავთ ფილოსოფიასახ(ლ/ელ)ის [სახე, სახელი, სახლი] შესახებ. ქაღალდის არქიტექტურა არ არის ოცნება შეუძლებელ ან რთულად ასაშენებელ შენობებზე. ქაღალდისარქიტექტურა გამიჯნავს შენობას არქიტექტურისგან. აქ სახვითი და კონცეპტუალური აზროვნება ხვდება ქაღალდის სივრცეს.
„რეალობაში“,ქაღალდის სივრცის გარეთ განხორციელებულ იდეები კარგავენ მთავარს - კულტუროლოგიურ ღირებულებას.
წლევანდელი კონკურსის თემა იყო დროებითი სახლი სტიქიის შედეგად დაზარალებულებისთვის.
ყველა პროექტი საინტერესო და თავისებურად მიუდგა სახლდაკარგულობის პრობლემას.
ვოსკეჰატ მკრტიჩიანის პროექტი სრულად გამოხატავს ქაღალდის არქიტექტურის არსს. იდეის თვალსაზრისით პოეტური, ამავე დროს <span style="font-size:10.5pt;line-height:115%;font-family:Sylfaen,serif;color:rgb(28...

